საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №4

02.02.2012

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:
კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1.ნანა ლომიძე - ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის დამფუძნებელი;
2. მაია მზარელუა - სპს - სენაკის საერო სკოლა მაია მზარელუას დირექტორი;
3. მარინა გვარამია - სპს - სენაკის საერო სკოლა მაია მზარელუას სასწავლო ნაწილის გამგე;
4. მზია ნარიმანიძე - შპს - პედაგოგის დირექტორი ;
5. თამაზ გოთუა - შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის დირექტორი;
6.ლევან გოთუა - შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილე;
7. აკაკი დუმბაძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელი;
8. ჟუჟუნა მუმლაძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი- ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:32 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს-სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სპს - სენაკის საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - პედაგოგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს – საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ივლისამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

- სპს – ლილე - ნანა ქურდიანი
- შპს – ელექტრონსერვისი 97
- შპს -ტანო და კომპანია - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - ლიცეუმი იმედი

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ – განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგიდან ამოეღოთ შპს - საუნჯის და შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს-სკოლის ავტორიზაციის განხილვის საკითხები, ცენტრში წარმოდგენილ იქნა დაწესებულების შუამდგომლობები, რომლითაც ისინი ითხოვდნენ საკითხის განხილვის გადადებას, რადგანაც ვერ მოხერხდა დროულად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგმლობა და კენჭისყრაზე დააყენა მისი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სპს - სენაკის საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - პედაგოგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია - ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ივლისამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

- სპს - ლილე - ნანა ქურდიანი
- შპს - ელექტრონსერვისი 97
- შპს -ტანო და კომპანია - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - ლიცეუმი იმედი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ანა კლდიაშვილს.

1. ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შემდეგი სახის შენიშვნა იყო დაფიქსირებული.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები. სავალდებულო 208 ერთეულიდან ლაბორატორია აღჭურვილია 177 ერთეულით (აკლია 15%). სკოლის დამფუძნებლის განმარტებით ლაბორატორიის საბოლოო შევსება იგეგმება უახლოეს მომავალში. ეს სკოლის ერთწლიან გეგმაშიც არის ასახული.

1.2 სკოლას გააჩნია 8 ცალი კომპიუტერი, რომელთაგანაც 5 ინტერნეტშია ჩართული.

1.3 სკოლას, ექსპერტთა ვიზიტის დროს, არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინდა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ სკოლამ შეიძინა გარკვეული ოდენობის ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომლითაც სურდა სასკოლო ლაბორატორიის შევსება. მისი განმარტებით, ლაბორატორია თითქმის შევსებულია და დარჩენილ ერთეულებსაც უახლოეს მომავალში შეიძენენ.

საბჭომ, აღნიშნული ჩამონათვალისა და საგადახდო დავალების საფუძველზე, მიიჩნია, რომ ხარვეზი ნაწილობრივ აღმოფხვრილია.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი საბჭოს სხდომამდე 2 დღით ადრე დასრულდა და მათ ვერ მოასწრეს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით და მხოლოდ მაშინ ითვალისწინებს ხარვეზის

გამოსწორების ფაქტს, როდესაც საბჭოს სხდომის ფარგლებში გადამოწმებადია. ამ შემთხვევაში, სახეზე არ იყო გამოსწორების მცდელობაც კი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მანდატურის სამსახურთან, თუმცა ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოასწრეს ვიზიტსა და საბჭოს სხდომის თარიღებს შორის მოკლე ვადის გამო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, თუ დაწესებულება არ იყო მზად სხდომისათვის და საჭიროებდა მომზადებას, მაშინ უფლება ჰქონდა მიემართა ცენტრისათვის შუამდგომლობით და მოეთხოვათა საკითხის განხილვის გადადება.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის განცხადებით, როდესაც დაწესებულება ინფორმირებულია, რომ კონკრეტულ რიცხვში მათ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდება, სკოლა ყველანაირად მზად უნდა დახვდეს მათ და ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება ვიზიტის განხორციელებამდე უნდა ყოფილიყო გაფორმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციისა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212708747) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. სპს - საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 წესრიგის დაცვას ახორციელებს დარაჯი და სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი მორიგეები. დაწესებულებას მანდატური არ ჰყავს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება ვიდეო კამერების მეშვეობით. შპს - ,,ჯესკო ჯგუფთან“ დადებული ხელშეკრულებით სკოლის საკუთრებაშია 4 ვიდეოკამერა (გადახდილია თანხის 60%). გარე პერიმეტრი კონტროლდება 1 ვიდეოკამერის მიერ, რომელიც დამონტაჟებულია სკოლის შესასვლელში. შენობის მეორე შესასვლელში ვიდეომეთვალყურეობის კამერა ვიზიტის დროს დამონტაჟებული არ იყო. შენობის მე-2 სართულის კორიდორს აკონტროლებს 2 ვიდეოკამერა. 1 ვიდეოკამერა დამონტაჟებულია კომპიუტერულ ოთახში. ტექნიკური პასპორტის თანახმად, გარე პერიმეტრის კონტროლის კამერა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა მაია მზარელუამ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სპს - საერო სკოლა მაია მზარელუამ 2012 წლის 2 თებერვალს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან დადო ხელშეკრულება, რაც წარმოდგენილ იქნა სხდომაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ,,ჯესკო ჯგუფსა“ და სკოლას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების თაობაზე.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი ინდივიდუალური მერხი იყო სკოლაში. მაია მზარელუამ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლაში იყო 110 ინდივიდუალური მერხი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 120-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 110 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 110-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - საერო სკოლა მაია მზარელუას (საიდენტიფიკაციო კოდი: 239867872) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 110-ით.

3. შპს - პედაგოგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა პედსაბჭოს დამტკიცებული აქვს 14 სექტემბერს სწავლა კი დაიწყეს 15 სექტემბერს. რითაც დარღვეულია ზოგადად სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების ვადები.

1.2 სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებიც, რომელიც პირველ 4 კლასში შესაბამისობაშია ესგ–სთან, ხოლო მე–5–მე 12 კლასებში 4 დონიანია. ამდენად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ნაწილობრივ შესაბამისობაშია ესგ–სთან. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია 4 დონიანი შეფასების სისტემა, თუმცა მასწავლებელთა პორთფოლიოებში წარმოდგენილი რუბრიკები უმეტესწილად არის 5 დონიანი.

1.3 კლასების მიხედვით გაწერილია საგნის სილაბუსები და კალენდარული გეგმები. ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია რამდენად ემსახურება წარმოდგენილი გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შესაბამისი კლასის ცოდნის, ღირებულებებისა და უნარჩვევების გადაცემას, ვინაიდან არ ჩანს საგნის მისაღწევი მიზნები. მაგალითად სპორტში არ ირკვევა სპორტის რომელი სახეობაა არჩეული და რა არის წლის / საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები.

1.4 სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი ხედვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის, თუმცა არა აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო.

1.5 სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, თუმცა კონკრეტული საქმიანობები აღნიშნულ დოკუმენტში არ ჩანს.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 სკოლაში არის ერთი გამავალი ოთახი (2 ოთახი ერთად), თუმცა სწავლების პროცესი ამ ოთახებში არ მიმდინარეობს და გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთათვის.

2.2 სკოლას 2011 წლის 16 დეკემბერს დადებული აქვს ხელშეკრულება Nგეო–045 შპს „ჯეო დეკორთნ“, სამეცნიერო ლაბორატორია ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია–ანატომია და საერთო დანიშნულების (სულ 208 დასახელება) შესყიდვაზე. თანხა ამ ეტაპზე გადარიცხული არ არის. სკოლაში არსებული ლაბორატორიის აღჭურვილობა მწირია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

2.3 პერიოდიკაზე ხელშეკრულებები არაა გაფორმებული. არაა გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 529 ერთეულს. სკოლას ბიბლიოთეკაში არსებული, აღრიცხული წიგნებიდან 301 წიგნზე უდასტურდება ფლობა.

2.4 სკოლას სსსმ მოსწავლეებისათვის გაკეთებული აქვს მოძრავი ხის პანდუსი, კიბის ერთ მონაკვეთზე ასასვლელად. დირექტორის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ პანდუსს გადააადგილებენ და გამოიყენებენ სხვა მონავეთებისათვისაც.

2.5 სკოლას აქვს შვიდი კომპიუტერი. ინტერნეტში ერთდროულად 5 მათგანის ჩართვა ხერხდება.

2.6 სკოლა ამჟამად არ გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

2.7 უსაფრთხოების კამერების შესაბამისობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დამტკიცებული „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ვერ მოხერხდა, რადგან წარმოდგენილი იქნა საგადახდო დავალება და სასაქონლო ზედნადები.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

3.1 სკოლის ერთ პედაგოგს დამთავრებული აქვს რუსთავის ხელოვნების კოლეჯი პროფესიით ”ქორეოგრაფ-რეპეტიტორი” და ასწავლის ცეკვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განმარტებით, მინიმუმ ერთი კვირა მაინც უნდა იყოს შუალედი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებიდან სწავლის დაწყებამდე გასული.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ხარვეზი არის, მაგრამ საბჭოს უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ რამდენად არსებითია ეს ხარვეზი, რადგან, რეალურად, სასკოლო სასწავლო გეგმა ჯერ დაამტკიცა და სწავლა შემდგომ დაიწყო და არა პირიქით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებთან დაკავშირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი და წარმოადგინდა დირექტორის ბრძანება, რომლითაც გამოსწორდა ხარვეზი.

დავით კახნიაშვილმა ბრძანების შემოწმების შედეგად განაცხადა, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია, რის შედეგადაც, საბჭომ ხარვეზი მოხსნა.

1.3-შო დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ კალენდარულ გეგმაში იყო მითითებული, თუ რომელ საგანს როდის ატარებენ სკოლაში, ხოლო თუ რა შედეგებზე გადიოდნენ სწავლების შედეგად, ეს არ ჰქონდათ გაწერილი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოსთან დავაშირებით, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა მუშაობს ამ საკითზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტი მათ ექსპერტთა ვიზიტის დროს უნდა ჰქონოდათ.

1.5 შენიშვნასთან დავაშირებით, საბჭოს მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ქონა, ხოლო თუ როგორ იმუშავებს ეს მექნიზმი ამას სკოლა მუშაობის შედეგად შექმნის.

ამდენად, საბჭომ 1.1 და 1.5 შენიშვნა არ გაიზიარა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებაა.

ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია–ანატომია და საერთო დანიშნულების (სულ 208 დასახელება) ლაბორატორია შესყიდვასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა საგადახდო დავალება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში 25 პროცენტის გადახდის შესახებ.

წიგნების ფლობასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, რაიმე სხვა ფორმით თუ დასტურდებოდა სკოლის მიერ წიგნების ფლობა.

ექსპერტის განცხადებით, წიგნებზე იყო სკოლის ბეჭედი და გატარებული იყო. საბჭომ აღნიშნული შენიშვნა მოხსნა.

პანდუსთან დაკავშირებით, საბჭომ მიიჩნია, რომ თუ მოძრავი პანდუსია, მისი გადაადგილება პრობელმა არაა და ამდენად, ეს ხარვეზი საბჭომ არ გაიზიარა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში იცვლება კაბელები და შემდგომ შესაძლებელი იქნება ყველა კომპიუტერი იყოს ჩართული ერთდროულად.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მინიმუმ 5 კომპიუტერის ფლობის შესახებ სტანდარტს სკოლა აკმაყოფილბს.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლბელო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შემოწმდა ექსპერტთა მიერ და ეს ხარვეზი მოიხსნა.

წარმოდგენილი იქნა კამერების შესყიდვის შესახბ ხელშკერულება და შემოწმდა მათი პარამეტრები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დამტკიცებული „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ ხარვეზზე, საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, განაცხადა, რომ კოლეჯდამთავრებულს არ აქვს უფლება ასწავლოს სკოლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტოს, ჰქონდა თუ არა პედაგოგიური გამოცდილება აღნიშნულ მასწავლებელს.

დირექტორის განცხადებით, ცეკვის პედაგოგი ახალგაზრდაა და გამოცდილება არ აქვს.

საბჭოს წევრის, ანა კლდიაშვილის, განცხადებით, მხოლოდ თეატრალური უნივერსიტეტი ანიჭებს აღნიშნულ კვალიფიკაციას და ზოგადად, ამ კადრის პრობლემაა ქვეყანაში.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის განცხადებით, სკოლას უამრავი ხარვეზი აქვს გასწორებული.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზები გამოსწორებულია 1.3; 1.4 და 3.1 შენიშვნა მაინც რჩება, რის გამოც მას ალბათ გაუჭირდება დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 120-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობს 62 მერხს და შესაბამისად, ამ რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 62 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლება ორ ცვლაში მიმდინარეობს. ამდენად, შეეძლო მას 120 მოსწავლის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ცენტრი მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობაზე, კერძოდ, 62 ბავშვზე, აძლევს დაწესებულებას თანხმობას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - პედაგოგის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პედაგოგის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 62-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პედაგოგს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 62-ით.

4. შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას მე-3 სართულზე განთავსებული აქვს სპორტული ოთახი. აღნიშნული ფართი სკოლას ნაქირაქვები აქვს შპს - ,,საქართველოს გეოლოგიური რუქისგან". აღნიშნული ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულებას 2012 წლის 3 იანვარს იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს - საბა პლიუსთან სპორტული მოედნით სარგებლობის შესახებ.

1.2 დაწესებულებას არა აქვს დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილი.

1.3 ვებგვერდი დამუშავების პროცესშია და არ არის სრული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, 1.1 შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის, ვინაიდან სკოლას სპორტული მოედნით სარგებლობის შესახებ შპს - საბა პლიუსთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება.

სკოლის ვებგვერდთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებდა, თუმცა მასზე განთავსებული ინფორმაცია არ იყო სრული. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე მოცემული იყო სკოლის წესდება, შინაგანაწესი და საკონტაქტო ინფორმაცია.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, დამონტაჟებული იყო თუ არა სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადაპტირებული სველი წერტილი სკოლაში ჯერ-ჯერობით არ იყო დამონტაჟებული და უახლოეს მომავალში აუცილებლად დაამონტაჟებდნენ. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა სკოლის შენობაში შესაძლებელი ადაპტირებული სველი წერტილის დამონტაჟება. ქეთევან

ბოტკოველმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლაში შესაძლებელი იყო ადაპტირებული სველი წერტილის დამონტაჟება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 100 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია ხელოვნების უმაღლესი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს საერო სამხატვრო აკადემია ხელოვნების უმაღლეს სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204998333) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

5. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის ორივე სართულის დერეფანში დამონტაჟებულია 6 შიდა კონტროლის ვიდეო კამერა, თითო სართულზე 3, რომელთაგან ერთი აკონტროლებს ლიფტების შემოსასვლელს, ერთი კიბიდან შემოსასვლელს, ერთი მთლიანად დერეფანს. შენობას სადაც სკოლაა გათავსებული აქვს ორი შესასვლელი. ერთი შესასვლელიდან შენობაში ასვლა შესაძლებელია ლიფტით და კიბით, ხოლო მეორე შესასვლელიდან მხოლოდ კიბით. სკოლაში მოსწავლე შემოდის (მეორე) შემოსასვლელიდან, რომელზეც დაყენებულია გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერა და მისი პარამეტრები აკმაყოფილებს შს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით მოთხოვნილ პარამეტრებს. შემოსასვლელი, რომლიდანაც სკოლაში შესვლა შესაძლებელია ლიფტის მეშვეობით, არ კონტროლდება ვიდეოკამერის მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას მანდატური. სკოლის დირექტორმა ჟუჟუნა მუმლაძემ განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა მანდატური. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, შენობაში შემოსასვლელი, სადაც დამონტაჟებული არ იყო უსაფრთხოების კამერა, გაკონტროლდებოდა მანდატურის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ შემოსასვლელზე უკვე დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერა, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერის შეძენისა და ტექნიკური მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 275 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 275-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხიხანი მრავალპროფილიან საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204955708) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 275-ით.

6. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ივლისამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საუბარია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალზე, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ავტორიზაციის გასავლელად უნდა მოემართათ 2011 წლის 1 ივლისამდე, კერძოდ სპს - ლილე ნანა ქურდიანი, შპს - ელექტრონსერვისი და შპს ტანო და კომპანია - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - ლიცეუმი იმედი. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ გადამოწმდა ინფორმაცია და ეს დაწესებულები ამ ეტაპზე არ საქმიანობენ და შესაბამისად არ ყავდათ მოსწავლეები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაეგზავნათ თუ არა ამ დაწესებულებებს საბჭოზე მოწვევის წერილები კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც ცენტრის თანამშრომელმა დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ლილე - ნანა ქურდიანის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ლილე-ნანა ქურდიანს (საიდენტიფიკაციო კოდი: 209469298) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ელექტროსერვის-97-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ელექტროსერვის-97-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 209455436) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ტანო და კომპანია - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - ლიცეუმ იმედის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ტანო და კომპანია-კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა-ლიცეუმ იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 232386094) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:07 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი